ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 14 ოქტომბერი № 1610

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი № 372.

1901 წლის 1-ლ აგვისტოდან ქალაქ ბუქარეშტში (რუმინიაში) გამოდის ფრანგულ-რუსულ ენაზე საეკლეს-კვირაო გაზეთი

„პრავოსლავნი ვასტოკ“

(„მართლ-მადიდებელი აღმოსავლეთი“)

ამ გაზეთში უმთავრესი მონაწილეობა აქვს ნ. ნ. დურნოვოს.

წლიური ფასი გაზეთისა გაგზავნით ერთი თუმანია, ნახევარი წლისა—ხუთი მან.

გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბაროთ: Bucaresti—Roumania. Strada Doamnei, 16. Redaction „L'Orient Orthodoxe“ «Православный Востокъ». (5—რ.—3)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. მანთაშევის სახლში. ✡ **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი** № 679. (ნ. 0—19)

ქართველთა შორის წერა კითხვის გავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის ოქტომბრის 28 დღესა, დილის თერთმეტ საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური **საზოგადო კრება.** განსახილველია შემდეგი საგნები: 1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1900 წლის მოქმედებისა; 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ; 3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1901 წლისთვის; 4) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა 5) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა და 6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა. (5—2)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ, კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, ტფილისის საბჭოს **ხმოსნების მომავალი არჩევნები** მოხდება სამ საარჩევნო კრებაზე; ამათგან—პირველ საარჩევნ. კრებაში მონაწილეობას მიიღებენ 1 ლ, მე-2, მე-3 და მე-4 საპოლიციო უბნების ამომრჩევლები; მეორეში—ამომრჩევლები მე-5, მე-6 და მე 7 უბნებისა; მესამეში—ამომრჩევლები მე-8, მე-9 და მე-10 უბნებისა. ქალაქის გამგეობა შეუდგა საარჩევნო სიების შედგენას და სთხოვს უძრავ ქონებათა პატრონთ გაანთავისუფლონ თავიანთი მამულები საქალაქო გადასახადის ნედოიმკიდან, რომელიც მათზე ირიცხება 1901 წლის 1-ლ ივლისამდე. იმ პირთ, რომელთაც მამული ან სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულება რამდენსამე უბანში აქვთ, გამგეობა სთხოვს გამოუცხადონ მას, რომელს საარჩევნო კრებაში ჰსურთ მიიღონ მონაწილეობა ხმოსნების არჩევნებში. (ნ. 3—4)

რედაქციისაგან.

გაგახსენებთ ხელის-მომწერთ, გისაც სრულად არ შემოუტანია დაკვეთილ „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ წლიური ფასი—დროით წარმოადგინონ.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

12 ოქტომბერი

პეტერბურგი. სენატმა განიხილა ხარკოვის სამოსამართლო პალატის პროკურორის პროტესტი ქარხანა «რუსკი პროვიდანს“-ში მომხდარ უწესოებათა შესახებ სასამართლოს დადგენილების გამო და გარდასწყვიტა: ხარკოვის პალატის დადგენილება, რომლის ძალით გამართლებულ იქმნენ მაროზოვი, ნიკოლაიჩიკი, პისკარიოვი, ბუბლიკოვი, არლოვი, პუხა, ფოკინი, მარტინოვი, იაშჩინი, კონი, ზლობინი, ბონდარიოვი, კულინი და გრეშჩუნი, დარღვეულ იქმნეს და საქმე ისევ გაირჩეს.

ტიუმენი. ობის სათავეში ნაპოვნ ჩონჩხის ძვლები მამონტის კი არ გამოდგა, არამედ გველ-ვეშაპის, რაც მეტ ფასს სდებს მათ.

კიევი. აკურთხეს ეკლესია სემინარიის ახალ სადგომში.

დესნაზე გემების მიმოსვლა შეწყდა.

კოპენჰაგენი. დღეს ფლენსბურგში გარდაიცვალა ერთად-ერთი დანიელი, რომელიც გერმანიის რეიხსტაგის წევრი იყო. მისი სახელი და გვარი—გუსტავ იოჰანსენია; იგი ქალაქ ფლესბურგის წარმომადგენელი იყო რეიხსტაგში.

ყაზანი. დღეს, ვოლგის ახლო, გადაიწვა დუქნები და საქონლის საწყობები; დაიწვა ამასთანავე ერთი გლეხის ქალი, რომელსაც თავის ფულების გადარჩენა უნდოდა.

ბერლინი. დღეს საღამოს გამოცხადდება მოსკოვ-ყაზანის რკინის გზის 25.880.000 გერმინულ მარკის ობლიგაციებისა და აგრეთვე ლოძის საქარხნო რაიონის რკინის გზის 11.660.000 მარკის ობლიგაციების გამოცემის შესახებ. ობლიგაციების გასაღება გერმანიაში დაიწყება17 ოქტომბერს; კურსი იქნება 96%. ორივე ეს სესხი რუსეთის მთავრობის მიერ უზრუნველყოფილია.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ავსტრ-უნგრეთი. 4 ოქტომბერს ავსტრიის დეპუტატთა პალატამ მოქმედება დაიწყო. ფინანსთა მინისტრმა თავისი ანგარიში მოახსენა პალატას. ამის შემდეგ პირველმა მინისტრმა კერბერმა ილაპარაკა. პირველმა მინისტრმა გამოაცხადა, ვიდრე ეროვნული საქმეები არ გადასწყდება, მთავრობა არც ერთს დასს არ მიუდგება; თორემ თუ ასე არ მოიქცა, მაშინ ყველას ნება ექმნება ცალმხრივობა დასწამოს მთავრობას. ავსტრიაში ეროვნული მთავრობა შეუძლებელია. ავსტრიის მთავრობა შინაგან მშვიდობიანობას უნდა იცავდეს. ყველა დასებმა თავიანთ დავასა და განხეთქილებას თავი უნდა დაანებონ, რადგანაც ჩვენ ეხლა უნგრეთთან სამეურნეო საქმეები უნდა მოვაწყოთ და მოვემზადნეთ, რომ სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულობანი დავაწესოთ. ამისთანა დროს სხვა-და-სხვა ეროვნება უნდა შეერთდეს და იმნაირად გაიმსჭვალოს მამულის სიყვარულით, როგორც სხვა ხალხებია აღფრთოვანებული ამ გრძნობით. (ძლიერი მოწონებაა).

ამის შემდეგ კერბერმა უნგრეთის ურთ-ერთობაზე და სავაჭრო ხელშეკრულობაზე ილაპარაკა. მინისტრმა უნგრელი პოლიტიკური მოღვაწეების სიტყვები მოიხსენია: ეს მოღვაწეები იმ აზრისანი არიან, რომ უნგრეთსა და ავსტრიას საერთო სადამოჟნო წესები უნდა ჰქონდეთ. მთავრობა სავაჭრო ხელშეკრულობის მომხრეა, რადა თქმა უნდა, ისეთი ხელშეკრულობისა, რომ ავსტრიისათვის საზიანო არ იყოს, მაგრამ ავსტრიას უნდა ახსოვდეს, რომ მის

ფელეტონი

ქართული ხელოვნება გამოფენაზე

რა მიზეზია, რომ წარსული საუკუნის განმავლობაში ჩვენში არ აღმოჩნდა თითქმის არც ერთი მხატვარი და მექანდაკე, მაშინ როდესაც პოეტები და რომანისტები ბლომად გვყვანდნენ? აშკარაა, ჩვენ აქამდის რაღაც გვაკლდა; ჩვენი პოეტური ნიჭი იყო ერთფეროვანი და ერთსახიანი. ხელოვნება გამოისახება სხვა და სხვა ფორმებში, სხვა და სხვა საშუალებით—სიტყვით, ხმებით, ქვით და მარმარილოთ, ფერადებით. იქ, სადაც ხელოვნური ნიჭი სიტყვის, ხმების, მარმარილოს და ფერადების ფორმებით ლაპარაკობს, მღერის, ამეტყველებს ქვას და ტილოს, იქ ხელოვნება მრავალშტოიანია, მრავალფეროვანია და რთული, ამ შემთხვევაში ხელოვნურ ნიჭს ეძლევა ფართო ასპარეზი; ის, რაც სიტყვით არ გამოითქმის, სიმღერაში ისახება; რაც მოითხოვს განსაზღვრულ გამომეტყველებას, ხორცს ისხამს ქვის და მარმარილოს საშუალებით; ხოლო ის, რასაც ამჩნევია სიმარტივე და ფორმის განსაზღვრულობა, ერთის მხრით, გამოურკვეველი, საიდუმლოებით მოცული გულის ალთქმანი, მეორეს მხრით, ის ნახატში და ფერადების თამაშობაში ჰპოულობს გამომეტყველებას. პოეზია, მუსიკა, მხატვრობა და ქანდაკება—ამ ოთხ ფორმის საშუალებით კაცი უზიარებს ქვეყანას თავის აზრს, გრძნობას, დაკვირვებას და გულის წადილს. უზიარებს ისე კი არა, როგორც მეცნიერი და მკვლევარი,—ესე იგი საბუთებით და მსჯელობით, არამედ მოხერხებულ მეტყველებით, გულის სიღრმიდამ ამოსულ ხმებით, გაბედულ კალმის გასმით და ხაზით.

ჩვენში აქამდის ლექსებს და პოემებს სწერდნენ, ზოგი კარგს, ზოგი ცუდს; მოთხრობებს და რომანებს სთხზავდნენ, რომლებშიაც ნამდვილი ხელოვნური ნაწარმოებიც მოიპოვება. ხოლო არც მუსიკას, არც მხატვრობას, არც ქანდაკებას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. და აი მხოლოდ ამ მოკლე ხანში დაგვებადნენ მემუსიკენი, რომელთაც ეროვნულ ხმების და მუსიკის შემუშავება სწადიანთ, მხატვრები და მექანდაკენი, რომელთაც მოისურვეს ჩვენი ხელოვნების ერთგვარობის დარღვევა.

მუსიკაზედ ჯერ არა ითქმის რა. ნოტებზე გადმოღებულ ხალხურ სიმღერების და საეკლესიო გალობის გარდა, ჩვენ არა გვაქვს ჯერ-ჯერობით არც ერთი მუსიკალური ხელოვნური ნაწარმოები, დამამტკიცებელი ამგვარ ხელოვნების აღორძინებისა. ხოლო წრევანდელმა გამოფენამ დაგვანახვა ახლად გაჩენილი ქართული მხატვრობა.

ჩვენ ვტოვებთ გამოურკვეველს იმ კითხვას, რა მიზეზია, რომ ახალ პოეზიასთან ერთად არ დაიბადა ჩვენში ახალი მხატვრობაც. ვტოვებთ იმიტომ, რომ სრულებით შეუმუშავებელია ჩვენში ქართულ ძველ მხატვრობის მდგომარეობის კითხვა, იმ მხატვრობისა, რომელიც უნდა ყოფილიყო საფუძველი ახალი მხატვრობის აღორძინებისათვის. ჩვენ მივდივართ პირდაპირ გამოფენის ერთ ერთ დარბაზში და ვაკვირდებით კედლებზე ჩამომწკრივებულ «ტილოებს“.

ქართველ მხატვრებს რამდენიმე „ტილო“ გამოუფენიათ. საყურადღებო ის არის და ღირს-შესანიშნავიც, რომ ჩვენი არტისტები უმეტეს შემთხვევაში ეროვნულ ნიადაგს არა სცილდებიან და აცოცხლებენ ჩვენს წარმოდგენაში ჩვენებურ ტიპებს, ისტორიულ წარსულს, სოფლურ სურათებს—ხატობას და დღეობებს, ცდილობენ აგრეთვე პოეტურ, ჩვენი ცხოვრებიდამ აღებული სიუჟეტების განმარტებას და ახსნას. ყველა ამაში აგრეთვე ის არის შესანიშნავი, რომ ერთი მხატვარი სრულებით არა გავს მეორეს. აქ თქვენ ამჩნევთ არამც თუ სხვა და სხვა ღირსების ნიჭს, სხვა და სხვაწერის და გამოსახვის მანერას, შეამჩნევთ აგრეთვე უცხოელ ხელოვნების ზედ-გავლენასაც.

დააკვირდით გიგო გაბაშვილის «მოქალაქეებს“ „ხევსურებს“ და „მთიელებს“. სხვილი თავები, განიერი ბეჭები, მეტყველი თვალები და დიდრონი ცხვირები და ყველა ეს გამოწერილი გაბედულად, უშიშრად, წითელი ფერადის გადაჭარბებით, უნებლიეთ გაგონებთ რეპინის „ზაპოროჟცებს“ და ამ რუსის მხატვრის წერის მანერას. მაყურებელი ცოტა არ იყოს გაკვირვებულია. მეტადრე ამ წითელ ფერადს ვერ იწყნარებს. ცხვირი, ლოყები, კისერი—სულ წითლად ეჩვენება. რასაკვირველია, შეიძლება, მიეჩვიოს მაყურებელი და აღარ იუცხოვოს წითლად გალესილი მთიულების პირისსახე, მაგრამ რამდენად სასურველია ამგვარი წერის მანერის გამტკიცება ხელოვნებაში, ეს საეჭვოა არამც თუ ჩვენში, სხვა ქვეყნებშიაც.

დააკვირდით იმავე გიგო გაბაშვილის „მედროშეს“ და „ალავერდობას“. თქვენ აქ არა გაკვირვებთ რა, თქვენს გულში სიამოვნება და თანაგრძნობა იბადება. ხევსურები იცავენ თავიანთ მამა-პაპეულ სალ-კლდეებს. პატარა რაზმის წინ სდგას

მოთხოვნილებასა და სურვილსაც თავისი საფუძვარი აქვს. როცა სხვა სახელმწიფოებთან და ნამეტნავად გერმანიასთან სავაჭრო პირობებს შევკრავთ, თავდაპირველად იმას უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენი მრეწველობის ინტერესები დავიცვათ. მინისტრმა გულახდით, აშკარად გამოაცხადა, რომ მთავრობა ავსტრიის ინტერესებს სხვა რომელიმე სახელმწიფოს ინტერესებს არ ანაცვალებსო (ძლიერი მოწონება). «თუ რიგიან ზავის პირობებს დაგვიდებენ, დიდის სიამოვნებით მივიღებთ. და თუ მარტო მსხვერპლს მოგვთხოვენ და სამაგიეროდ არაფერს ხეირს არ მოგვცემენ, ჩვენც ცხვარივით რიდი გავწუმდებით» (ძლიერი მოწონება).

შემდეგ კერბერმა გამოაცხადა, რომ ეხლავე საჭიროა, 3 მილიონი კრონა გადავდოთ სახარჯოთაო; მოახსენა აგრეთვე პალატას, რომ კანონები ბეჭდვის შესახებ უნდა შეიცვალოს და დონის-ძიება უნდა მივიღოთ ლოთობის მოსასპობადაო; მთავრობა ცდილობს, მუშების სადგომები გაუმჯობესდეს და მოხუცებულ და დაშავებულ მუშებს პენსიები დაენიშნოს.

დასასრულ პირველმა მინისტრმა ითხოვა, «ბიუჯეტი თავის დროზე და კონსტიტუციის წესით დაამტკიცეთო. მე-14 მუხლს ნურც კი გამახსენებთო (ამ მუხლის ძალით ავსტრიის მთავრობას უფლება აქვს, პარლამენტის ნებადაურთველად მოახდინოს საჭირო ხარჯები). თავი დაანებეთ ობსტრუქციასა და წინააღმდეგობას, რადგანაც ამისთანა ქცევამ დიდი ზიანი მოუტანა სახელმწიფოს. ყველა თქვენი უფლება მოიხმარეთ, ნამეტნავად ნუ დაივიწყებთ, რომ ბიუჯეტის დამტკიცება თქვენ ხელთაა. თქვენი ძალა და ღონე დიდი სახელმწიფო საქმისთვის შეინახეთ, ისე მოიქეცით, როგორც სხვა ქვეყნების წარმომადგენლები იქცევიანო».

კერბერის ნალაპარაკევი უკიდურესი ნაციონალისტების გარდა, ყველა დასებს მოეწონათ. კერბერმა გამოაცხადა, მთავრობა უნგრეთსაც კი არ მისცემს ნებას, რომ ავსტრიის ინსტიტუტს, მცირედაც არის აზიანოსო. ამ სიტყვებმა ყველას ყურადღება მიიპყრო: ეს კაი ქამანდი იხმარა კერბერმა. ამ ხერხით მინისტრმა ყველა დასები მიიზიდა და ძალა დაატანა, რომ მომავალში დახმარება გაუწიონო.

კერბერის შემდეგ მლადო-ჩეხების დეპუტატმა ფორშტმა მოითხოვა, გერმანიის სადამოჟნო ტარიფი ეხლავე განვიხილოთო. ორატორმა სთქვა, ის ემჯობინებოდა, რომ პირველ მინისტრს თავისი სიტყვა ტარიფის გამოცხადებამდე წარმოეთქვაო. თუ გერმანიის ტარიფი დამტკიცდა და ძალაში შევიდა, მაშინ სავაჭრო ხელშეკრულობის შედგენას ვეღარც კი გაახსენებთო.

✿ ავსტრიამაც დაამზადა ახალი სადამოჟნო ტარიფი. ეს ტარიფი ორ წიგნად გამოსულა (სულ 600 გვერდია) და დიდის სიფრთხილით ინახება ვაჭრობის სამინისტროშიო; გაზეთებს გაუგიათ, იმ ტარიფის ბაჟები გერმანიის ბაჟებზე ნაკლები არააო.

✿ რეიხსრატის თავმჯდომარის ამხანაგმა პრადემ თავისს თანამდებობას თავი დაანება და მის მაგიერ რეიხსრატმა გერმანელი საერო დასის მეთაური კაიზერი აარჩია. არჩევანი ძლიერ მოეწონა მემარცხენეთა დასს, მლადოჩეხებსა და პანგერმანისტებს კი ჭკუაში არ მოუვიდა და უკმაყოფილების ნიშნად პალატის დარბაზიდან გავიდნენ. კაიზერმა მადლობა გადაუხადა პალატას ამორჩევისათვის და სთქვა, ჩემი თანამდებობის აღსრულების დროს მიუდგომლად მოვიქცევი და დასობრივი მოსაზრებით არ ვიხელმძღვანელებო.

ესპანია. ესპანიის პალატებმაც დაიწყეს მოქმედება. სენატი თავდაპირველად ბერების კრებულთა საქმის განხილვას შეუდგა. პირველმა მინისტრმა საგასტამ გამოაცხადა: მთავრობა რიგზედ და სინდისიერად დაიცავს კანონებსაო; ბევრს სენატორს არ მოეწონა ეს პასუხი და ამიტომ გადაწყვიტეს, მთავრობას კიდევ შევეკითხოთ ამ საგანზეო. ამის შემდეგ სევილიაში მომხდარ უწესოების თაობაზე გაიმართა კამათი. მთავრობამ დაწვრილებით მოახსენა სენატს ეს საქმე და სევილიიდან მიღებული დეპეშა წაიკითხა: იქაური გენერალი იწერება, წესიერება აღვადგინეთო. ამ უწესოებაზე დეპუტატთა პალატაშიაც ჩამოვარდნილა ლაპარაკი და სამხედრო მინისტრს ვეილერს ამნაირადვე პასუხი მიუცია. ვეილერს ამის შემდეგ ახალი კანონ-პროექტი წაუკითხავს. ამ კანონ-პროექტის ძალით 1902 წელს ჯარს 40 ათასი კაცი უნდა მოაკლდესო.

შეერთებული შტატები. პრეზიდენტი რუზველტი, სხვათა შორის, ფლოტის გაძლიერებასაც სცდილობს. პრეზიდენტი თავის განზრახვას საქმითაც ასრულებს. საზღვაო სამინისტროს ხარჯთ აღრიცხვით სამერმისოთ ფლოტისათვის დანიშნულია 99 მილიონი, ესე იგი წლევანდელ ხარჯზე 21 მილიონი დოლარით მეტია დანიშნული; სამი ჯავშნიანი გემისა და ორი ჯავშნიანი კრეისერის აშენება აქვთ განზრახული. ყველაზე მეტი ხარჯი გემთ საშენებლებისა და დასატვირთ სადგურებისათვისაა დანიშნული. ამ საქმეებისათვის 20 მილიონია გადადებული; წელს კი სულ 6 მილიონი იყო დანიშნული.

✿ პრეზიდენტის მკვლელი ჩოლგოში ამჟამად აუბერნის ციხეში ზის; მეტად დინჯად და არხეინადაა. ჩოლგოშს, როგორც ვიცით, 28 ოქტომბერს დასჯიან. ციხის დირექტორს ორაათასზე მეტმა კაცმა სთხოვა, ნება მოგვეცი, დასჯის დროს დავესწროთო. ჩოლგოში კარგადაა: მღვდლის ნახვა და აღსარების თქმა არ მოუნდომებია. მის დასჯას მხოლოდ 26 კაცი დაესწრება. ამათში ერთი მთავრობის წარმომადგენელი იქნება.

ინგლისი. 4 ოქტომბერს, ვესტ ჰარტლეპულში ჩრდილოეთ კონსერვატიულ საზოგადოებათა კავშირმა კრება მოახდინა. კრებაზე ორმა მინისტრმა ილაპარაკა: ადგილობრივი მმართველობის დეპარტამენტის პრეზიდენტმა ვალტერ ლონგმა და ფოსტების და ტელეგრაფის მინისტრმა ლორდ ლონდონდერიმ. ლონგის ნათქვამში ყველაზე საყურადღებო ის იყო, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს პარლამენტის წესდება შესცვალოსო. ლონგმა სთქვა:

«პარლამენტის წესდება ძლიერ დაძველდა; ეს წესდება არა თუ ხელს არ უშლის და არ აბრკოლებს ობსტრუქციასა და ნამეტან ბევრს ლაპარაკს, პირიქით, ხელს უწყობს და აქეზებს, ვინც ხელს უშლის პარლამენტის წესიერ მოქმედებას. მთავრობა მოვალეა ამისთანა წესებს ბოლო მოუღოს, რადგანაც ეს წესები პარლამენტს ამცირებენ. ამიტომაც სამინისტროს სწადიან იმნაირად შესცვალოს ეს წესდება, რომ ობსტრუქცია და ნამეტანი ბევრი ლაპარაკი და კამათი შეუძლებელი გახდეს. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე, რომ დეპუტატებს, ვინც სამინისტროს წევრებად არ არიან, უფრო ფართო ასპარეზი მიეცეს მოქმედებისათვის.»

მეორე მინისტრმა ლორდ ლონდონდერიმ გადაჭრით გამოაცხადა: სამინისტროს წევრებს ერთმანერთში და აგრეთვე მთავრობისა და ლორდ კიჩენერს უთანხმოება არ მოსვლიათო.

საფრანგეთი. წლევანდელ ბიუჯეტში ხარჯი 50 მილიონი ფრანკით აღემატება შემოსავალს. ამ დეფიციტის შესავსებლად საბიუჯეტო კომისიამ დაადგინა, ამას იქით კეროსინის ვაჭრობა სახელმწიფომ თითონ იკისროსო. კომისიის 7 წევრი ამ დონისძიებას მომხრობია, 4 წინააღმდეგი ყოფილა; 3 წევრს თავიანთ აზრი არ წარმოუთქვამთ. ეს დადგენილება სოციალისტი სემბის რჩევით მიუღია კომისიას.

კომისიამ მიანდო 4 წევრს, რომ ამ საქმეზე შესაფერი პროექტი შეადგინონ. ეს წევრები ფინანსთა მინისტრთან მისულან და უთხოვნიათ, ყველა საჭირო ცნობები და დოკუმენტები მოგვეცით, რომ ჩვენი პროექტი შევადგინოთო. მინისტრმა უპასუხა, თქვენ სურვილს დიდის ხალისით შევასრულებ, მაგრამ მე თითონ კი წინააღმდეგი ვარ თქვენი დადგენილებისაო. ამ საქმეს დიდი შესწავლა უნდა, დაამიტომ მისი გადაწყვეტა ძლიერ გაჭიანურდებაო.

სამხრეთ აფრიკა. «პარი ნუველ»-ს სწერენ: «დელარეის ჯარის კაცები თითქმის ყოველ დღე დადიან პრეტორიაში, იქ სანოვაგეს ყიდულობენ და თავიანთ ცოლ-შვილს ჰხედვენ; ათიოდე კაცი კრიუგერის მეუღლის დასაფლავებასაც დაესწრო. რამდენჯერმე მოხდა, რომ პრეტორიიდან უცხოელები წავიდნენ დელარეისთან და სთხოვეს, შენ რაზმში მიგვიღეთო, მაგრამ დელარეიმ უარი უთხრაო: მარტო ისეთ კაცებს ვიყვან, ვისაც კარგად ვიცნობო. უცხოელები ისევ თავისუფლად პრეტორიაში დაბრუნდნენ. აქედან სჩანს, რომ პრეტორია ძლიერ ცუდათაა გამაგრებული და საკვირველი არ იქმნება, რომ ამ ქალაქს ბურები შემოესივნენ».

✿ ინგლისის მოხელეებს კიდევ ერთი ბური დაუსჯიათ. 17 ოქტომბერს ი. კრიუგერი დახვრიტეს თოფით.

✿ «ტან»-ს სწერენ: კაპის კოლონიაში, ქალ. მარესბურგში საინტერესო «პოლიტიკური» პროცესი გაარჩიესო.

«ქალ. ბრესბურგზე ბურების რაზმმა გაიარა. აქაური ქალები დიდის აღტაცებით მიეგებნენ ბურებს და თანაგრძნობისა და პატივის ცემის ნიშნად ყველა მეომარ ბურებს ჰკოცნიდნენ. ამ ქალებს მოხელეებმა ოქმი შეუდგინეს და სამართალში მისცეს: «სიტყვითა და მოქმედებით წესიერება და მშვიდობიანობა დაარღვიესო და ინგლისის მთავრობას პატივი არა სცესო».

ახალი ამბავი

◆ ამ დღეებში ტფილისის საბჭოს ხმოსნებს კერძო მოლაპარაკება ექნებათ გამგეობის მეოთხე წევრის თანამდებობაზე კანდიდატების ამოსარჩევად.

◆ დღეს სამეურნეო საზოგადოების სადგომში დაიწყება მეღვინეთა და მევენახეთა კრება.

◆ გუშინ დასრულდა შინად-მრეწველობის წარმომადგენელთა კრება.

◆ შინად მრეწველობის სხდომაზე გუშინ, 13 ოქტომბერს, საღამოზე წაკითხულ იქმნენ მოხსენებანი ქალაქის ლაბორატორიის გამგის ბ-ნ ალიბეგოვისა, თუ როგორ გაუმჯობესდეს შინ--მრეწველთა ნაწარმოების ღებვის საქმე; ს. მ. ზავაროვისა—თუ როგორ უნდა იქმნეს შესწავლილი შინადმრეწველობა კავკასიაში სტატისტიკურად და ეკონომიურად—ო. ი. შმერლინგისა მის შესახებ, თუ როგორ მოიკრიბოს შინად-

---

ხევსური მეღროშე, მაგარი, როგორც კლდე, წარბ-შეკრული, თავ-განწირული. სურათი მთელ და მკაფიო შთაბეჭდილებას ახდენს. ამგვარივეა „ალავერდობა". ჯგუფ-ჯგუფად ჩამომსხდარი შექეიფიანებულები ჩვენი გლეხები და ხევსურ-ფშაველები, ხალიჩა-გადაფარებული ურმები, ამწვანებული ბალახი და ვრცელი, თავისუფლად გადაჭიმული მინდვრები, ბევრი სინათლე და ხელოვნურად ასრულებული პერსპექტივა. ამას ისიც მიუმატეთ, რომ ქართველ კაცის ტიპიური თვისება აქვს დაცული არტისტს. მიაქციეთ ყურადღება განაპირა მჯდარ კახელ-გლეხს, აუჩქარებელს, დინჯს და მშვიდს. წითელ ხელსახოცით თავ-მოკრული, განიერი შარვალი კოხტა პაჭიჭებში ჩამჯდარი და გამოკვანჭული, ზის გლეხი და ეწევა თავისს ჩიბუხს. დღეობაშია, მაგრამ მისი ფიქრი სხვაგან არის—ეტყობა რიღაცის ვარაუდშია. იქნება საქონლის ყიდვა უნდა, იქნება დაუმთავრებელ საქმის ფიქრშია. ნამდვილად არ იცით, ხოლო იცით, რომ თქვენ წინ ჩვენებური გლეხია და მისს თვალებში ჰკითხულობთ ჩვენი ცხოვრების ჭირ-ვარამს.

სულ სხვა ღირსების და სხვა ხასიათისაა ა. თოიძის დიდი „ტილო". იმგვარივე შინაარსისა ახალგაზრდა არტისტს ნიჭი ეტყობა. დააკვირდით „პირველ რიგში მჯდარ „ლოთ ბიჭს" კინტოს. ისე თავისუფლად არის გადაზნექილი, ახალუხი და განიერი ვერცხლის ქამარი ისე ძალ-დაუტანებლივ და ცოცხლად აქვს შემოსილი, რომ მაყურებელი არტისტის ძალას გრძნობს. ამგვარივე ნიჭით და ზომიერების და სინამდვილეს თანდაცვით აქვს გამოწერილი არტისტს ქვაბი, ჩაფერფლილი ცეცხლი და სხვა ცალკე საგნები. ხოლო რაიც შეეხება მთელ სურათს, საერთოდ აღებულს, იგი მეტად სუსტია. მაყურებელს სულს უხუთავს ერთი ერთმანეთზე მიკრული საყდარი, ხეები, ხალხი, ურმები და სხვა. რა არის პერსპექტივა, არა სცოდნია არტისტს. რა მნიშვნელობა აქვს სინათლეს და ადგილის სიხალვათეს იქ, სადაც ბევრნი არიან თავ-მოყრილნი, არც ამისათვის მიუქცევია ყურადღება ჩვენს მხატვარს. საერთოდ აღებული, სურათი ყურადღების ღირსი არ არის და ჩვენც არ მივაქცევდით მასზედ მკითხველის ყურადღებას, ხოლო, ეტყობა, რომ ახალგაზდა არტისტს მიუხედავად წერის ნაკლულევანებისა, გულში ცეცხლი უღვივის და ჩვენ მოვალედ ვსთვლით თავს აღვნიშნოთ ეს.

ბ. მომცელიძემ მოგვცა ორი ტიპი—ქალაქელი და მეორე იმერელი. ამ ახალგაზდა მხატვარის დიდი ღირსება იმაშია, რომ საზომი და „ნახატი" (рисунокъ) თვალსაჩინოდ სწორე აქვს. ნახატი (dessein), როგორც ფრანგები ამბობენ, სულია მხატვრობისა. მხატვარს უნდა ჰქონდეს შესწავლილი ადამიანის ანატომიური აგებულება. იმ შესწავლაზეა დამყარებული არტისტის თვალის საზომის გავარჯიშება და ამ საზომის გავარჯიშებაზეა აშენებული სიმარტივე და განსაზღვრულობა მხატვრობისა. ბ. მომცელიძე სწორედ ამ მხრიდამ არის შესანიშნავი თუმცა, უნდა ვსთქვათ, რომ ამ ახალგაზდა მხატვარსაც ბევრი შრომა და მეცადინეობა სჭირია, რომ სხვანაირადაც გამარჯვებული დარჩეს. ჯერ ერთი მხატვარის „პალიტრა" მეტად გაცრეცილი და ფერ-მკრთალია. ჩვენში, სადაც მზე ასეთი სხივიანია, სადაც ტყე-მიდამო ასე ამწვანებული, და ხალხის სამოსელი და მთელი ცხოვრების ელფერი კაშკაშად გაფერადებული, ჩვენში მხატვარი არ უნდა ერიდებოდეს მკაფიო, თითქმის მყვირალა ფერადებს. ეს ერთი. მეორეც ბ. მომცელიძის რიპებს ის აქვს ნაკლულევანება, რომ ცუდათ აცვია ტანსაცმელი. ცუდათ, ე. ი. ტანსაცმელს ბუნებრივობა არ ეტყობა. დააკვირდით გვერდზედ გადაგდებულ საყელოს და ჩოხის ნაოჭებს—თითქმის ყველა ეს გახამებულია და გამაგრებული. ამ ნაკლს ახალგაზდა მხატვარი მალე შეასწორებს, რადგან კალმის გასმაზე ეტყობა, რომ ნიჭის პატრონი.

ყურადღების ღირსია ალ. მრევლიშვილის ნაწარმოები. უწინარეს ყოვლისა, ეს მხატვარი შესანიშნავია იმითი, რომ, გიგო გაბაშვილის შემდეგ, ერთად ერთი არტისტია, რომელიც არ კმაყოფილდება ერთი რომელიმე საგნის, სიუჟეტის ტიპის გამოსახვით. «უკანასკნელნი მცველნი» ეს ჩვენი წარსული დროიდან ამოღებული მოტივი, ესკიზია და ამისათვის შეუმუშავებელი ნაწარმოებია. ახლო მანძილზე იმის გასინჯვა და დაფასება არ შეიძლება. მოშორებით რომ დადგეთ, სულ სხვა არის. თქვენ არა ჰხედავთ დაუმთავრებელ და გაუშალაშინებელ მეომართ. ის, რაც ახლოს გეჩოთირებათ, იკარგება შორიდან, და ესკიზის აზრი და გრძნობა ნათლად გესახებათ და თქვენ ხედავთ თავ-განწირულ მებრძოლთ, დაკავშირებულთ შეთანხმებულთ მტერთან საომრად. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ნაწარმოები ესკიზია, ე. ი. შავად შეუსწორებლივ დაწერილი სურათი. მხოლოდ ამ მხრივ არის იგი ღირს-შესანიშნავი. «პორტრეტი" (მექანდაკე ნიკოლაძისა) ფრანგული მანერით არის დაწერილი. თავისუფალი მიხვრა-მოხვრა, გაბედული გამომეტყველება, კაშკაშა ფერადები—ყველა ეს ფრანგულ ხელოვნების გავლენის მაჩვენებელია. ხოლო „რენესანსის" (აღორძინების ეპოქის) ზედ-გავლენა ამჩნევია მეორე სურათზე „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო"-ზე. მოხუცს, ღვთის მოყვარე სვიმეონს ხელში აუყვანია პატარა ბავშვი—იესო, ის იესო, რომლის ნახვასთანავე სიკვდილის მოლოდინში უნდა ყოფილიყო სვიმონი. მოხუცის თვალებში მთელი ფსიხოლოგია კაცისა, რომელიც ამ ქვეყანას აღარ ეკუთვნის და სადღაც, საუკუნო საიდუმლოებაში იყურება. მოხუცის ვიწრო შუბლი, გრძელი გათეთრებული თმები და წვერები, სადაც თითქოს იმალება იმისი პირი-სახე, გვეუბნებიან, რომ ამ კაცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობის ნაწარმოებთა ძველი სურათები და სხვა.

◆ 16 ოქტომბერს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო განიხილა საკითხს კავკასიის **ბეჭდვითი საქმის** წარმომადგენელთა კრების მოწვევის შესახებ.

◆ სიღნალის ქალაქის ზოგიერთ რწმუნებულთ ტფილისის გუბერნატორთან განუსაჩივრებიათ **სიღნაღის ქალაქის თავის არჩევნები**, რომელიც წასრულ სექტემბერში მოხდა. მომჩივანნი ამტკიცებენ, რომ ქალაქის თავად არჩეულს ვ. ი. ენიკოლოფოვს კანონიერი ცენზი არა აქვსო და ამიტომ არც შეიძლებოდა მისი არჩევაო.

◆ მიხეილის სამკურნალოში ახლად გარდაცვალებულ **განსვენებულ ს. პ. კაზანსკას** სულის მოსახსენებლად გუშინ, 13 ოქტომბერს ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ განსვენებულის ნაცნობ-მეგობარნი ადგილობრივ რედაქციებისა და მუსიკალურ საზოგადოების წარმომადგენელნი.

◆ **შინაურ ფრინველის მომშენებელი** ამხანაგობის წევრნი დღეს, დილის 10 საათზე, წავლენ იჯარით აღებულ მიწების და შენობების დასათვალიერებლად და სალამოს 5 საათზე ქართულის თეატრის ფოიეში შეიკრიბებიან პირობების და მოსალოდნელი ხარჯის ანგარიშის განსახორციელებლად. კრებაზე ყველას შეუძლიან დაესწროს.

◆ სადგურ ქალადიდიდან გვწერენ: „12 ოქტომბერს, დილის 8 საათზე ავაზაკები თავს დაეცნენ ბეჟან თელიას დუქანს და წაიღეს ოც-თუმნიანი ხმალი, 2 მან. ფული, თამბაქო და სხვა წვრილმანები. დუქნის გაძარცვის შემდეგ მედუქნე თან გაიყოლიეს და, სანამ სამშვიდობოზე არ გავიდნენ, არ გამოუშვეს.“

◆ გორის ქალაქის რწმუნებულთა კრებამ, უკანასკნელს სხდომაზე, განსაკუთრებული კომისია აირჩია და დაავალა მას იზრუნოს ნება-დართულის ქსენონის დაარსების შესახებ. კომისიას თავჯდომარეობს ქალაქის თავი ბ. სააკოვი და მასში მონაწილეობა იღებს მაზრის ექიმიც.

◆ „კავკაზ“-ს გაუგია, რომ მომავალ წლიდან ტფილისში დაწესდება მეეზოვეთა ინსტიტუტი და საადრესო სტოლი.

◆ **სამხედრო უწყების საიუბილეო კრებული** უკვე დაუმთავრებიათ და დაუწყიათ კიდეც მისი ბეჭდვა.

◆ ბოლოს დროს ტფილისში ძალიან გავრცელდა **ყვავილი**; უმთავრესად სენი მძვინვარებს ტფილისის სადგურზე, რკინის გზის მოხელეთა შორის. „კავკაზ“-ის სიტყვით, რკინის გზის მმართველობა ნაკლებათ ცდილობს სენის წინააღმდეგ საჭირო ღონისძიებანი მიიღოს.

◆ ტფილისის **ქალაქის საბჭო** 15 ოქტომბრის სხდომაზე განიხილავს ყველა იმ საქმეებს, რომელნიც განუხილველნი დარჩნენ წარსულ სხდომაზე.

◆ გორის მაზრაში **ბაკურიანის რკინის გზის** ლიანდაგი უკვე დაუსრულებიათ ასე, რომ ახლო მომავალში უკვე გაიხსნება ამ გზაზე მატარებლების მიმოსვლა.

◆ ამიერ კავკასიის **რკინის გზის სამმართველომ** ამ დღეებში ცირკულიარული მიწერილობა გაუგზავნა სათანადო დაწესებულებას ყურადღება მიექცეს, რომ მუშა მატარებლებით გარეშე ხალხი არ დადიოდეს. რკინის გზის სადგურებზე შემოსასვლელ გზის ისრებთან დღეში ორ-ორჯელ თვალყური უნდა ადევნონ სადგურის მორიგე მოხელეებმა და თუ ვინიცობაა შეამჩნიეს მუშა მატარებლებზე მდგომი ხალხი, უნდა შეაჩერონ და ორჯელ მეტი ღირებულობისა გარდაახდევინონ; ხოლო პასუხის გებაში მიცემულ იქმნებიან ის უფროსი კონდუქტორები, რომელთა მიზეზით ხალხი მუშა-მატარებლებით სარგებლობს.

◆ **ამიერ კავკასიის რკინის გზის** გამგეობას, გზათა მინისტრის ნებართვით, გადაუწყვეტია ყარსის რკინის გზის სადგურს „ჯანდარს“ 1902 წლის 1 მაისიდან სახელად „სანდარი“ უწოდოს.

◆ **შირაზის საბალახოების** მოსაწყობად შირაზში წასულა მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის რამდენიმე მოხელე.

◆ **ტფილის ქალაქის გამგეობის** მდივანმა ბ. იაკიმოვმა შეადგინა პროექტი ინსტრუქციისა ქალაქის თვით-მმართველობის დაბალ მოხელეთათვის.

◆ ქალაქის ტეხნიკოსმა მელიქ-ბეგლიაროვმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ **ქალაქის მუშები** ერთობ გვიან გამოდიან სამუშაოზე. ამიტომ მან განკარგულება მოახდინა თავის რაიონში, რათა მუშები შეუდგებოდნენ საქმეს დილის 7 საათზე და ათავებდნენ მუშაობას სალამოს 5 საათზე; $1\frac{1}{2}$ საათი სადილისათვის ეძლევათ. სამუშაო დღე გამოდის $8\frac{1}{2}$ საათი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია მოუმატოს **ქალაქის ლომბარდის** დარაჯთა შტატს და დააწესოს მსახურთა მორიგეობა.

◆ **ქალაქის საყასბეებზე** სანიტარულ პირობების დასაცველად ქალაქის გამგეობამ მიანდო ბეითალ ვარშამოვს ყური უგდოს სახაშეს, წინადადება მისცა მეხაშეებს იყოლიონ ორი დარაჯი და ამოირჩიონ თავიანთ შორის ერთი პირი, რომელიც პასუხის მგებელი იქმნება ქალაქის გამგეობის წინაშე. თუ მეხაშეები სანიტარულ წესს დაარღვევენ, მათ ხაშის იჯარა წაერთმევათ. ყველა ეს გამოეცხადა მეხაშეებს და ხელწერილი ჩამოერთვათ.

◆ მოგვყავს ცნობები, თუ ვის რამდენი ეძლება **სატრაქტირო გადასახადი**: სასტუმრო ორიანტს 900 მ. კავკაზს 700, ვეტცელს—700, ლონდონს—650, პურ-ღვინოს—450, როსიას-360, ბოირსკია ნომრებს-300, რაჯის—340, ბორჯომს—500, ქუთაისს—120, ვერსალს 142, „ნადკურორი“-ს ნომრებს—150, ათინას-100, სევასტოპოლს-110 და იტალიას-150; რესტორანებს-ბანკის ბაღს—730, ტილიპუჭურს—640, მადერს-640, ვეტცელს-700, ევროპას—185, ბუფეტებს—„კრუჟოკში“—1200 მ. ვოკზალზე 1-ლ კლასისას—700, მესამე კლასისას—400, „სობრანიები“-587, სახაზინო თეატრში 180 და 170, არტისტიულ საზოგადოებაში—120, 181 და 140 მ.

◆ 18 ოქტომბერს მოხდება მეტრაქტირეებისა და რესტორატორების მეორე კრება **სატრაქტირო გადასახადის** გამწერ კომისიის ასარჩევად.

კავკასიის გამოფენა

12 ოქტომბერს გამოფენაზე ყოფილა დილით—1404 კაცი და სალამოთი 173; 112 უფასო ბილეთით.

**

გუშინ შეუდგნენ შინად-მრეწველობის განყოფილების ექსპონატების ექსპერტიზას.

**

მიწად-მოქმედების განყოფილების ექსპერტიზა დასრულდა.

**

გუშინ გამოსცადეს ბამბის საწმენდი მანქანები.

**

სამეურნეო იარაღების საექსპერტო კომისიამ გადასწყვიტა გამოსცადოს ამ დღეებში სანიავებელი მანქანები, მათ შორის მამაჯანოვის მანქანაც.

**

კომისარიატს გადაუწყვეტია ხუთშაბათობით 50 კ. მაგიერ დანიშნოს გამოფენაზე შესვლის ფასად 20 კ., რადგან შეამჩნიეს, რომ ხუთშაბათობით სხვა დღეებზე ნაკლები ხალხი დადიოდა.

**

გამოფენის ბუფეტის პატრონი სთხოვს კომისარიატს, ნუ გადაახდევინებენ მას შემოსავლის $15^{0}/_{0}$-ს, რადგან მან ბევრი იზარალა ელექტრონის განათების უვარგისობის გამო.

**

როგორც ვიცით, გამოფენის გამგე კომიტეტმა ნება დართო გაფუჭებული ექსპონატების გატანისა. ამ ნებართვით ბევრმა ისარგებლა და ექსპონატები წაიღო პავილიონიდან, რაც ეხლავე დაეტყო ზოგიერთ განყოფილებას. ამიტომ გუშინდელ დღიდან კომისარიატის განკარგულებით, დაუთვალიერებლად და გაუსინჯავად ექსპონატებს არავის ატანენ გამოფენიდან.

**

თევზეულობის განყოფილების საექსპერტო კომისიის წევრები სთხოვენ გამოფენის მომწყობ კომიტეტს გზისა და ტფილისში ცხოვრების ხარჯს, აგრეთვე ოქმების გადაწერის ჯილდოსაც.

თეატრი

„მაკკავეი“, ოპერა 4 მოქმ. პარასკევი, 12 ოქტომბერი. მეორედ დასდგეს ოპერა „მაკკავეი“ განთქმული კომპოზიტორის რუბინშტეინისა. ეს ოპერაც, როგორც ყველა რუბინშტეინის დაწერილი ოპერები, სავსეა მუსიკალურის მხრივ შესანიშნავ ადგილებით, მხოლოდ „მაკკავეი“ განსხვავდება სხვა იმის ოპერებიდან (დემონი, ნერონი და ვაჭარი კალაშნიკოვი) იმით, რომ ნაზ მელოდიური ადგილები ნაკლებად არის, მუსიკა, თუ შეიძლება ასე დაიხატოს, უფრო მძლავრი და ფართოა განსაკუთრებული ყურადღება თითქმის სახორო ადგილებისათვის მიუპყრია და ორკესტრისათვის. ოპერაში თითქმის მოსაწყენი ადგილებიც არის, მაგ. პირველ მოქმედებაში, მეორე მოქმედების მეორე სურათში. საუკეთესო

თვისება შორის მჭვრეტელი აზრი და მსჯელობა კი არ არის, არამედ გრძნობა და გულ-კეთილობა. პატარა იესო, კარგათ ჩასხმული, ჯან-საღი ბალღია. მოხუცმა ხელში რომ აიყვანა, ბალღმა ინსტინქტიურად ხელი დაავლო მოხუცს წვერებზე. ეს ხაზი და კალმის გასმა მეტად აცხოველებს მთელ სურათს. სულ სხვა ხასიათისაა მისივე პატარა „ტილო“ „საქმის დროს“. აზრი ამ სურათისა სულ უბრალოა და მასზე არას ვიტყვით. სურათი საყურადღებოა უფრო ტეხნიკურის მხრით. მაგალითად, მეორე ოთახის პერსპექტივა, სინათლის და ჩრდილის თამაშობა ხელოვნურის ნიჭით არის ასრულებული.

მეოთხე ალ. მრევლიშვილის ნაწარმოები განმარტებაა ნიკოლ. ბარათაშვილის „მერანისა“. სურათი „აკვარელით“ არის დაწერილი და პირველის შეხედვით „უცნაურ“ შთაბეჭდილებას ახდენს. ბევრისაგან გაგვიგონია—ეს ნამდვილი „დეკადენტური“ ხელოვნებააო. ჩვენ კი გვგონია, რომ ამ ნაწარმოებს „დეკადენტობის“ არა აქვს-რა, და თუ არ არის რამეში მოსაწონი, ზოგიერთ ტეხნიკურ შეცდომებისათვის. ბურუსით მოცულ, მუქ-ლურჯ ფერში შეღებულ ჰაერში „უგზო-უკვლოდ მირბის და მიჰფრინავს მერანი.“ მერანზე გადამჯდარა მხედარი, თავ-გაწეწილი და დიდრონის შეშინებულის თვალებით იყურება ჰაერის სივრცეში. მისი სული აღშფოთებულია, მისი გონება აღელვებული. წამდა-უწუმ ელანდება ხან ლამაზი, ტკბილათ მოღიმარ, მოალერსე ნაზი ქალები, რომელნიც თავს ევლებიან მხედარს, ხან ეზმანება ჯოჯოხეთიდან გამოვარდნილი, საძაგელი, უმსგავსი, მახინჯი ქაჯი—ავი სული, რომელმაც ჩაჰჭიდა თავის ბრჭყალები, მოშვებულ გარსაკრს და რაც ძალა და ღონე აქვს ეწევა და არ უშვებს თავ-ზარ-დაცემულს, გაშმაგებულს «მერანს». აქა-იქ, ცის სივრცეში, ბუნდოვანად მოჩანს ვარსკვლავები. ძირს კი, დაძინებული ბუნდოვან მიწაზე, ოდნავ მოჩანს ლურჯ-ბურუსით მოცული სვეტიცხოველი, ჯვარის ეკკლესია, მიყრუებული მიდამოები და ტყეები. დააცქერდით ამ სურათს, თქვენ იგრძნობთ „რაღაცას“, ოცნება გაგიტაცებს და აგაღელვებს. ამ სურათში არის ის, რაც რუსულად „настроеніе“-ს ეძახიან. ერთი დანაკლისი ამ ნაწარმოებისა ის არის, რომ ერთ-ერთი „ჰაეროვანი“ ქალი, რომელიც მხედარს უკან მოსდევს და ხელებით იჭერს უკან გადაზნექილ მხედრის თავს, ვერ მოუვიდა ჩვენს არტისტს. მისი ოთხ-კუთხიანი თავი და უსულო და უგულო სახის გამომეტყველება არღვევს საერთო შთაბეჭდილებას და თვით სურათის აზრსაც ეწინააღმდეგება. ხოლო ეს უფრო შემთხვევით შეცდომაა, და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ალ. მრევლიშვილი მეტის ყურადღებით მოეკიდება თავის საქმეს და განავითარებს თავის ხელოვნურ ნიჭს.

არც ერთ ზემოდ აღნიშნულ ნაწარმოებს არა ჰგავს სამი სურათი კნიაჟნა ამირეჯიბისა. ახალ-გაზდა მხატვარ ქალს ხელოვნური ტეხნიკა საკმარისად აქვს შესწავლილი. ხოლო ჩვენ არ ვეთანხმებით სიუჟეტების ამორჩევაში. ქართულ ხელოვნებას „ქართული“ ხასიათი უნდა ჰქონდეს. თქვენ შეგიძლიანთ აირჩიოთ დასაწერად უცხოელთ სიუჟეტი, მაგრამ მანერა, უნარი და კილო წერისა ქართველური უნდა გქონდეთ. გამოჩენილ საფრანგეთის მხატვრებს აქვთ შემუშავებული თავიანთი ქვეყნის ტიპი და, რა სიუჟეტებიც არ მისცეთ გასარკვევად, თავის ერის ტიპიურ თვისებებს ვერ ასცდებიან. ამგვარია ძალა ეროვნულ ხელოვნებისა. იგი, ერთის მხრივ, ავიწროვებს ადამიანის მისწრაფებას, მეორეს მხრით, ამ მისწრაფებას ანოყიერებს, ასულდგმულებს, რადგან ძარღვებში სისხლს უდგამს და ხელოვნების ჩონჩხს ხორცს აძლევს. ამაშია **ადამიანური** ხასიათი ეროვნულ ხეხელოვნებისა. კნ. ამირაჯიბის ნაწარმოებს სწორედ ამგვარი ეროვნული ხასიათი აკლია და ამაშია მათი სისუსტე.

ოთხ ხუთ მხატვართ შორის ურევია ერთად-ერთი მექანდაკე იაკ. ნიკოლაძე. ვისაც სურს ჩვენი მექანდაკეს ნიჭის დაფასება, მხედველობაში უნდა იქონიოს ორი პატარა დაუმთავრებელი და შეუმუშავებელი მისი ნაწარმოები: „ხევსური“ და „უკანასკნელი კოცნა“. მისი ბიუსტები—რაფაელ ერისთავისა და შიო არაგვისპირელისა—არ არიან მაჩვენებელნი იაკ. ნიკოლაძის ხელოვნურ ნიჭისა. ერთიც და მეორეც არას გეუბნებათ, უსიცოცხლოა. სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს ერთი მუჭა თიხა, რომლიდამაც ამაყი, მამაცი, რკინის ხასიათის ხევსური-მეომარი გამოიყურება. სულ სხვა არის აგრეთვე შეუმჩნეველი, კუთხეში მიმალული, პირველის შეხედვით გამოურკვეველი და გაუგებარი „უკანასკნელი კოცნა“, კაცი,—მკვდარია თუ სძინავს, არ იცით—(თავი არც კი უჩანს) წევს კლიდამ ფეხებ გადმოშვებული. გვერდით უზის ქალი, წელში გადაზნექილი ეწაფება კაცის ტუჩებს და ჰკოცნის (ქალის სახესაც ვერ ხედავთ გარკვევით). აქ ერთი ხაზის გასმის მეტი არაფერია შესამჩნევი. თქვენ ქალის ზურგს ხედავთ, ხოლო ამ მოხრილ და გადაზნექილ ზურგში იხატება იმისთანა ვნებათა ღელვა, იმისთანა სასოწარკვეთილება, რომ თქვენ თვის აშკარად ხდება არტისტის განზრახვა. ის, რაც ჩვენ მოგვწონს ნიკოლაძის ნაწარმოებში, შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს მაყურებლისათვის, რადგან მეტი შეუმუშავებელია და დაუმთავრებელი. ჩვენ ამ დაუმთავრებელ ნაწარმოებში ვპოვებთ ნიკოლაძის ნიჭის დამამტკიცებელ საბუთს.

ამგვარად, საერთოდ რომ გადავავლოთ თვალი ქართულ ხელოვნებას წრევანდელ გამოფენაზე, დავინახავთ, რომ ჩვენი არტისტები ცდილობენ თავიანთი აზრი და გრძნობა ეროვნულ ფორმებში გამოსახონ და მით მისცენ ამ აზრს და ამ გრძნობას ცხოველ-მყოფელობა და სიმარტივე. და უნდა ვსთქვათ, რომ ეს დიდი დამსახურებაა ქართულ ხელოვნების წინაშე.

არჩილ ჯორჯაძე.

პარტია ოპერაში იუდიასია და ლიასი, მაკკიაველთა დედისა. იუდიას პარტიას მღეროდა მაქსაკოვი, რომელმაც თავიდან ბოლომდე შესანიშნავის გრძნობით და ცოდნით გაატარა. ხმაც და ხმის მოხმარებაც უნაკლო იყო. ამისათვის საზოგადოება ყოველ სიმღერის შემდეგ ხანგრძლივ ტაშის ცემით ასაჩუქრებდა. ლიაპოპოვა დრამატიულის მხრივ თითქმის უნაკლულოდ თამაშობდა, მაგრამ ხმა ვერ ასდევდა, ამისათვის საუკეთესო ადგილები ცოტა უმნიშვნელოთ შეიქმნა. დანარჩენები იმდენად რიგიანად მღეროდნენ თავ-თავიანთ პარტიებს, რომ საზოგადო შთაბეჭდილება არ წაუხდენიათ, თუმცა საზოგადოება მეტს ელოდდა- ბორისენკოს — ელეაზარი — ხმა ჰღალატობდა. სამაგიეროთ ქალთა და ვაჟთა ხოროები სინიდისიერად ასრულებდნენ თავიანთ სიმღერებს. ხალხი ნაკლებად იყო. უეჭველია, ცირკში ბევრი იქნებოდა.

შინად მრეწველთა კრება

12 ოქტომბერი

კრების გახსნისათანავე თავმჯდომარემ საკითხი აღძრა იმის შესახებ, თუ რომელი საშუალებანი უნდა იქმნან პირველად მიღებულნი შინა-მრეწველობის დასახმარებლად. ამ საკითხის გარდაწყვეტა მით უფრო აჭიროა,—განაცხადა მან,—რომ ერთად ყველა იმ საშუალებათა განხორციელება, რომელნიც წინა კრებაზე იყვნენ აღნიშნულნი, შეუძლებელია საჭირო თანხის უქონლობის გამოო.

კრებამ პირველ საჭიროებად იცნო ინსტრუქტორების შემოღება, მეორედ —სპეციალური სახელოსნო სკოლების დაარსება, მესამე—მუზეუმის გახსნა სავაჭრო საწყობებით და მეოთხე—ცენტრალური სპეციალურ სასწავლებლების დაარსება.

შემდეგ კრება შეუდგა განხილვას ა. სააკოვის წინადადებისას ჩვენში ერობის შემოღების საჭიროების შესახებ.

თავმჯდომარემ და ზოგიერთ დამსწრეთ გამოსთქვეს, რომ საჭიროა კრებამ სურვილი გამოსთქვას ერობის დაწესების შესახებ, რადგანაც ხალხში შინად მრეწველობის შესახებ ცოდნის გავრცელებას დიდად ხელს შეუწყობს ერობა, როგორც ეს რუსეთის შიდა გუბერნიებშიაო.

ა. სააკოვი. ჩემის აზრით, აქ სურვილის გამოცხადებას არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ყველა ჩემ მიერ მოყვანილი ცნობები უსაჭიროესად ხდიან ჩვენში ერობის შემოღების საქმეს, რადგანაც ხალხი ღებულობს მონაწილეობას თვის მართვა-გამგეობაში და ყოველთვის თვის შორის შინად მრეწველობის გასაძლიერებლად დიდძალს ფულს გადადებს ისე, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიები, მაგ. ყოველ წლობით 268,000 მანეთს ხარჯავენ ამ საქმეზეო.

ტუსკაევი ამბობს, რომ ერთად ერთი სახსარია ერობა, რომელიც არამც თუ გააძლიერებს შინად მრეწველობის საქმეს, არამედ ყველაფრად ხელს შეუწყობს, ხალხი გამოვიდეს ეხლანდელ გაუნათლებელ მდგომარეობიდან და დაადგეს თვით ცნობიერებისა და ქონებით გაუმჯობესობის გზას.

ი. ქუთათელაძე ეთანხმება ზემოდ აღნიშნულ მოსაზრებას ერობის შემოღების შესახებ და ამბობს, რომ ყველა საზოგადო დაწესებულებანი და ხალხი მოუთმენლად ელიან ამ დაწესებულებათა შემოღებას ჩვენში. ქუთაისის გუბერნიაში ყოველ წლობით 800 ათასი მანათი საერობო ფული იკრიბება და ამ ფულებიდან ადგილობრივ საჭიროებაზე 300 ათასი თუ იხარჯება, დანარჩენი კი სხვა გუბერნიების საჭიროებისათვის მიდის; როდესაც ჩვენში ერობა იქნება, მაშინ ეს ფულები ადგილობრივ იქნება მოხმარებული და დიდს საშუალებასაც აღმოუჩენენ ყოველივე ისეთ დაწესებულებას, რომელიც ხალხს გაალონიერებს. ამიტომ ჩვენ უნდა მივემხროთ სხვა დაწესებულებათ გარდაწყვეტილებას ჩვენში ერობის შემოღების შესახებ.

კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო შემდეგი წინადადება: კავკასიის შინად მრეწველთა კრებამ, მიიღო რა სახეში ის გარემოება, თუ რა საშუალებით უნდა იქნეს კავკასიაში შინად მრეწველობის საქმე განმტკიცებული, დაადგინა: საერობო დაწესებულებანი კავკასიაში დიდს დახმარებას გაუწევენ ხალხში შინად მრეწველობის ტეხნიკურ ცოდნის გავრცელებას. შემდეგ, ინჟინერს ბ. ზგლენიცკის მოხსენების თანახმად, კრებამ გამოაცხადა თანაგრძნობა ბაქოში კავკასიის ვერცხლისა და ოქროს ნაწარმოებთა ხელოვნების სკოლის დაარსების შესახებ.

განხილულ იქმნა აგრეთვე მოხსენება კნ. მ. თუმანიშვილისა იმის შესახებ, რომ კრებას შუამდგომლობა აღეძრა ტფილისში დაარსებულ ხალიჩების საქსოვ სახელოსნოს შემწეობად ყოველ წლობით 1500—2000 მან. დანიშნოდა მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან. კრებამ გადასწყვიტა შუამდგომლობა იქმნეს აღძრული სათანადო მთავრობასთან ყოველ წლიური სუბსიდია დაენიშნოს ტფილისის ხალიჩების საქსოვ სახელოსნოს იმ პირობით, რომ ამ სახელოსნოში მიიღებოდნენ სტიპენდიანტებად მხოლოდ ღარიბ შინად მრეწველთა ბავშვები.

ბ. ვ. ივანოვმა წარუდგინა კრებას ფაბრიკისა და ხელით სამუშაო საფეიქროების ნაქსოვის ნიმუშები და განაცხადა, რომ თუ გაუმჯობესებული იქნება აქაური საფეიქრო, მაშინ არამც თუ შინად მრეწველთა ნაქსოვ ნაწარმოებთ ფაბრიკა-ქარხნის ნაწარმოები ბაზარს წართმევს, პირიქით შინად მრეწველთა ქსოვილენი მაგ. დარაიები, ჯეჯიმები და სხვ. კონკურეციასაც ვერ გაუწევსო. დასასრულ მომხსენებელმა ითხოვა—გაუმჯობესდეს ადგილობრივი საფეიქროები და ქსოვის საქმე, გადმოტანილ იქნეს კავკასიაში სახმარებლად მოსკოვის თვით მოძრავი საფეიქროები და სხვა. კრებამ ყველა შუამდგომლობანი ბ-ნ ივანოვისა შეუცვლელად მიიღო. შემდეგ, ი. გ. ქუთათელაძემ საყურადღებო ცნობები წარუდგინა კრებას ქუთაისის გუბერნიაში შინად მრეწველობის განვითარების შესახებ და თანვე უჩვენა დამსწრეთ აბრეშუმეულობის ქსოვილები, დარაიები, შალები ქუდები, სვანური და მეგრული და სხვანი. მომხსენებლის მიერ მოყვანილ ცნობებით, ქუთაისისა, სენაკისა, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრებში დიდძალ აბრეშუმეულობის მოყვანასა და ქსოვას მისდევენ. ივანოვის მიერ დასახელებული მოსკოვის გაუმჯობესებული საფეიქროები ორმოც-და-ათამდე გამოუწერიათ ქუთ. გუბერნიაში როგორც კერძო მცხოვრებთ, აგრეთვე ხონის სააბრეშუმო ამხანაგობას და გურიის „შუამავალს“; ამათგან თითოს ათ-ათი საფეიქრო აქვთ მოწყობილი და წლიურად არა ნაკლებ 4—5 ათას მანეთის ქსოვილებს ამზადებენ. ხალხში მეტად გავრცელებულია აბრეშუმის თავსაფრებისა, ცხვირსახოცებისა, ჩულქებისა, ღარუზებისა და სხვათა მზადება; ამ ნაწარმოებთ სულ მცირე ფასად 20—30 კაპ. იძენენ ადგილობრივ წვრიმალი მოვაჭრენი, განსაკუთრებით ებრაელი წვრილი ვაჭრები და შემდეგ კარგ ფასად ასაღებენ მხმარებლებზე. ადგილის სივიწროვისა გამო ქუთაისის გუბერნიაში განსაკუთრებით ცხვრის მოშენებას არ მისდევენ, მაგრამ დუშეთისა და სხვა მაზრებიდან იწერენ მატყლს და მშვენიერ შალებს ამზადებენ; განსაკუთრებით განთქმულია საჩოხე შალები ეგრედ წოდებული იმერული და მეგრული შალი, მაგრამ შალების კეთებას შემდეგი შემაფერხებელი მიზეზი გამოსჩენია. ადგილობრივ შალების ნიმუშები წაუღიათ პოლონეთის ლოძელ მეფაბრიკეებს, საუკეთესოდ ამზადებენ ამგვარსავე გემოზე და ძალიან იაფად ასაღებენ, რის გამოც ადგილობრივ შალების მზადება თან-და-თან ეცემა. საჩოხე შალებს განსაკუთრებით ქალები ამზადებენ 10 დღეში. კარგს ქუდებს ამზადებენ ქვემო სვანეთში და სამეგრელოში, საიდანაც მრავალი გამოაქვთ ხონის იარმუკობის დროს და ჰყიდიან. მთელ ქუთაისის გუბერნიაში თითქმის ყოველივე შინად სახმარ ჭურჭლებს, ჯამს, კოვზს, დოქს, კოკას, სახნისს, ნაჯახს, წალდს, დანას, ცულს, ნამგალს, ფოცხს და სხვათ შინაურულადვე ამზადებენ. მთელს გუბერნიაში სადაც 1.100,000 მცხოვრებელი იქნება 5,000 თუ იქნება ხელოსანი ანუ ფაბრიკაში მომუშავე, დანარჩენი უმრავლესობა შინად მრეწველობს და ჯერ-ჯერობით მით იბრუნებს სულს საჭიროების დროს. ყოველ წლობით დაახლოვებით 100,000 მან. ნაწარმოები მზადდება ხალხში შინაურულად. დასასწულ ბ ქუთათელაძემ, შინად მრეწველობის დასახმარებლად ქუთაისის გუბერნიაში შემდეგი საშუალებანი აღნიშნა: დაინიშნოს ორი ინსტრუქტორი—ერთი საგუბერნიო და მეორე—მუდმივად მწარმოებლების თვალ-ყურის მგდებელი იმ საერობო თანხიდან, რომელიც 800 ათას მანეთამდე იკრიბება გუბერნიაში, დაარსებულ იქმნეს ქუთაისში მუზეუმი; შემწეობა აღმოეჩინოს დიდ ჯიხაიშისა, კულაშისა, ბახვისა და სენაკის სახელოსნო განყოფილებიან სკოლებს, სადაც მშვენივრად დაყენებულია ქსოვის და სხვა ნაწარმოებთა კეთების საქმე, შუამდგომლობა იქმნეს აღძრული, რომ გურიისა და ხონის ამხანაგობათ და სხვათ, თავიანთ ნაწარმოებთა გირაოს ქვეშ სახელმწიფო ბანკიდან სესხი ეძლეოდესთ და აგრეთვე სპეციალისტების გამოზრდით გაუმჯობესდეს ქსოვილების ღებვის საქმე.

კრებამ ბ. ქუთათელაძის მოხსენებაზე გამოსთქვა: სასურველია შინად მრეწველთ და ამხანაგობათ მათ ნაწარმოებთა გირაოთი ეძლეოდესთ სახელმწიფო ბანკიდან ხესხი; აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შემწეობა ფულით აღმოეჩინოს ზემოდ აღნიშნულ სოფლის სკოლებს, და აგრეთვე სასურველია საგანგებო სკოლებში იგზავნებოდნენ შინად მრეწველთა შვილები ღებვისა და სხვა საშუალებათა სპეციალურად შესასწავლად.

ტფ. წმ. ნინოს სასწავლებლის გადაკეთების გამო

გაზეთებმა მოგვიტანა ცნობა, რომ მთავრობას განუზრახავს ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გადაკეთება ინსტიტუტად. უკეთუ ეს ცნობა ნამდვილია, საჭიროდ მიგვაჩნია წარმოვსთქვათ ჩვენი მოსაზრება ამ საგნის შესახებ. წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი ტფილისში, როგორც მოეხსენება მკითხველს, დააარსა მთავარ-მართებლად ყოფილის თავ. ვარანცოვის მეუღლემ ღარიბი მშობლების თავად-აზნაურებისა და მოხელეების ქალების დასაბინავებლად და აღსაზრდელად. ამიტომ ამ სასწავლებელს ჰქონდა და დღესაც, ვგონებთ, უნდა ჰქონდეს თავისი უმთავრესი მიზანის შესაფერი ტიპიური ხასიათი, ესე იგი, იქ უნდა ზრდიდნენ და ამზადებდნენ ღარიბი მშობლების ქალებს ისე, რომ, როცა სწავლის გათავების შემდეგ, თავიანთ ღარიბი მშობლების ოჯახებში დაბრუნდებიან, მოწყვეტილნი არ იყვნენ იმ ნიადაგისაგან, სადაც იგინი დაიბადნენ, და უმეტეს გამოსადეგნი იყვნენ ამ წრისათვის. ამიტომ მოხსენებულ სასწავლებელში, გარდა საზოგადო სწავლა-აღზრდისა, ისეთი ცოდნაც უნდა შეიძინონ მათ, რომელიც გამოსადეგია ღარიბ ოჯახში.

დედათა ინსტიტუტი კი რუსეთში, როგორც მოგეხსენებათ, სულ სხვა ნაირ სასწავლებლებს შეადგენენ: ერთი რომ ეს სასწავლებლები დახურული სასწავლებლებია და მათში, სხვათა შორის, უმეტესი ყურადღებაა მიქცეული ფრანგული ენისა, მუსიკისა და ცეკვა-თამაშობის სწავლებაზე. ერთი სიტყვით, ამ სასწავლებლებს, ასე ვსთქვათ, უფრო არისტოკრატიული ხასიათი და მიმართულება აქვთ. ამიტომაც იქ აღზრდილი ქალები, როგორც ფუფუნებასა და კარგს ცხოვრებას მიჩვეულნი, უფრო მაღალსა და მდიდარ წრისთვის არიან მომზადებულნი, ვიდრე ღარიბი ოჯახებისათვის. ესეთ შეხედულებას მათზე ხომ თვით ინსტიტუტებში აღზრდილი ქალები გვიმტკიცებენ ცხოვრებაში, და მთელი ხალხიც დიდი ხანია ასე უცქერის მათ რუსეთში.

ამიტომაც სასურველი არ არის, რომ წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი დაშორდეს იმ სასარგებლო მიზანს, რომელიც ჰქონდა მხედველობაში მის დამაარსებელს. და უკეთუ კიდევ საჭიროა ამ სასწავლებლის გადაქმნა და გაუმჯობესება დროს მოთხოვნილების შესაფერად, სასურველია შემოიღონ და გააძლიერონ მასში პროფესიონალური საგნების სწავლება და სწორედ ისე მოამზადონ მასში მოსწავლე მოწაფეები, რომ გამოსადეგნი იქმნენ თავიანთ ოჯახებისათვის, ვითარცა მომავალნი მეუღლენი, დედები და დიასახლისები.

გ. წე—ბელი.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

13 ოქტომბერი

ასტრახანი. აქ ჩამოვიდა დეკანოზი იოანნე კრონშტატელი; ამ გარემოების აღსანიშნავად ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა დაარსოს ბავშვების თავ-შესაფარი დეკანოზის სახელობაზე.

რომი. გაზეთ „პატრია“-ს სიტყვით, ვატიკანის მთავრობამ განიზრახა იყოლიოს თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი პეკინში.

ჩიკაგო. კასსონმა, რომელიც, ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულობის შეკვრის დროს, ამერიკის წარმომადგენლად იყო, გუშინ დაიწყო ხელშეკრულობის პოლიტიკის დაცვა; ის ამტკიცებს, რომ მხოლოდ ხელშეკრულობით შეიძლება ამერიკის ვაჭრობის დაცვა სახიფათო გარემოებათაგან.

პარიზი. მონსო-ლე-მინში ასი თოფი უკანვე დააბრუნეს; ხვალ გაჩხრეკავენ სახლებს; მშვიდობიანობა სუფევს.

ნაციონალისტთა გაზეთები კიდევ უსაყვედურებენ მელინის მომხრეთ იმის გამო, რომ მათ სამშაბათს სამინისტროს მისცეს მხარი.

სიმლა. ავღანისტანის ემირის აბდურახმანის გარდაცვალების ამბავს არავითარი აღელვება არ გამოუწვევია ჰერატში. იქ ისევ მშვიდობიანობა ჰსუფევს. ჯარებმა ერთგულები შეჰფიცეს ახალს ემირს ხაბიბულას.

რედაქტორი ალ. ჭულხია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი

„ცნობის ფურცლის“ დღევანდელ №-თან ერთად ეგზავნება ხელის-მომწერთ **სურათებიან დამატების** მე-10 ნომერი.

Съ разрѣшенія Главноначальствующаго на Кавказѣ генералъ-адъютанта Кн. Г. С. Голицына
ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ
„АРГОНАВТЪ“
Съ 15-го Ноября текущаго года будетъ выходить ежедневно съ иллюстраціями.
ПРОГРАММА мзданія обнимаетъ всѣ отдѣлы ежедневныхъ газетъ.
Подписная цѣна: на годъ съ пересылкой и доставкой 7 руб., въ Тифлисѣ: 5 руб., полгода 3 руб.
и на мѣсяцъ 50 коп.
Подписавшійся до января 1902 г., получаютъ газету со дня подписки.
Редакція и контора изданія: Тифлисъ, Головинскій просп. № 14.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Октября 1901 г.
ელექტრონით მოძრავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.